

XVIII საუკუნის თურქული წარწერა ქუთაისიდან

ოსმალეთის იმპერიის დასავლეთ საქართველოსთან, განსაკუთრებით იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშ-აფხაზეთის სამთავროებთან, ურთიერთობის შესწავლა ჭერჭერობით მაინც სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. მართალია, ახლახან გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ამ თვალსაზრისით XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ვითარება შედარებით კარგად არის გაშუქებული ქართული და უცხოური წყაროების გამოყენებით¹, მაგრამ უშუალოდ თავდამსხმელი ხალხის ისტორიოგრაფთა მიერ მოწოდებული ცნობებისა და იმავე ქვეყნის ოფიციალური წრებიდან გამოსული დოკუმენტების მონაცემთა გათვალისწინება, ვფიქრობ, მრავალ ახალსა და საყურადღებო დეტალს შეიტანს საკითხის უფრო ღრმად და ამომწურავად შესწავლის საქმეში.

დასავლეთ საქართველოს შესახები ოსმალური წყაროები ჭერჭერობით ძლიერ ცოტაა გამოქვეყნებული. ეს მაშინ, როცა კარგადაა ცნობილი ამ მხარეში ოსმალთა ხანგრძლივი თარეში. თუმცა სერიოზული შედეგების გარეშე, მაგრამ ოსმალები დროდადრო აკონტროლებდნენ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს. ისტორიის სახელმძღვანელოში ეს ვითარება მოკლედ ასეა განსაზღვრული: „XVII საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველო ოსმალეთის მოხარკე გახდა, მაგრამ დამოუკიდებლობას მაინც ინარჩუნებდა“². აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხზე შემდეგს წერდა: „სპარსეთმა და ოსმალეთმა ერთმანეთს შორის მუდმივი მტრობის მოსასპობად საქართველო ორად გაჰყვეს და აღმოსავლეთი ნაწილი ოსმალთა მიერ სპარსთა უცილობელი გავლენის სფეროდ იყო ცნობილი. დასავლეთ საქართველო კი სპარსეთმა ოსმალეთს დაუთმო, დასავლეთ საქართველოშიც ოსმალეთის გავლენამ ისე ძლიერად იჩინა თავი, რომ ქართული ეროვნული საქმისათვის საშიში შეიქმნა“³.

საერთოდ კი, მას შემდეგ, რაც ოსმალთა თურქებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს (1453 წ.) და ხელში ჩაიგდეს მთლიანად ანატოლია (დაახლოებით

¹ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბ., 1974, გვ. 455-478 (ქ. ჩხატარაიშვილი, დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში).

² ვ. გუჩუა, შ. მეხსია, საქართველოს ისტორია, თბ., 1961, გვ. 64.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, თბ., 1953, გვ. 59.

XV საუკუნის ბოლო), საქართველოს უშუალოდ გაუმეზობლდა მრისხანე და აგრესიულად განწყობილი ოსმალეთის იმპერია. ამ დროიდან როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო წარმოადგენდა ოსმალთა დამპყრობთა გამუდმებული შემოსევების ობიექტს. უთანასწორო ძალების მიუხედავად, ქართველი ერი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა შემოსეულ მტერს, თავიდან აიცილა ფიზიკური განადგურება და თავისი დამოუკიდებლობა, ეროვნული სახე და კულტურა ბოლომდე შეინარჩუნა.

მდიდარ ოსმალურ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში თითქმის ყველგან არის ცნობები საქართველოში წარმოებული ომებისა და ქართველების ენერგიული ბრძოლების შესახებ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის. ოსმალური წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველო არ არის იოლად დასაპყრობი ქვეყანა, რომ საქართველოში ოსმალთა ჯარი დიდ წინააღმდეგობებს ხვდება, რომ ქართველები „ურჩები“ და „დაუმორჩილებლები“ არიან. თუ რაოდენ მდიდარია ოსმალური წყაროები საქართველო-ოსმალეთის ისტორიულ-პოლიტიკურ ურთიერთობათა შესასწავლად, ეს ჩანს პროფ. ნ. შენგელიას სამასგვერდიანი წიგნიდან: „XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები“ (თბილისი, 1974), სადაც ავტორის მიერ მოცემულია სრული დახასიათება და შეფასება საქართველოს შესახებ და ამჟამად მისთვის ხელმისაწვდომ ძეგლებში დაცული ისტორიული მასალებისა.

ცხადია, ნ. შენგელიას წიგნში ნაჩვენებია ძირითადად ის წყაროები, რომლებიც გამოცემულია თურქეთში ან სხვაგან. გამოუქვეყნებელი, ჩვენთვის უცნობი ან ხელმიუწვდომელი ძეგლები, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრია სავარაუდებელი. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს შესახებ დოკუმენტური ხასიათის მასალებზე (სახალხო აღწერის დაეთრები, ფირმანები და სხვ.), რომელთა დიდი რაოდენობა ჩვენთვის ცნობილია თურქეთში გამოცემული კატალოგების მიხედვით და რომლებიც დაცულია უმთავრესად მაინც სტამბოლის უდიდეს სიძველეთსაცავში — თურქეთის „მინისტრთა საბჭოს არქივში“ (Başbakanlık arşivi)⁴.

ბუნებრივია, ამ წიგნში გამოვლენილი და სხვა გამოვლენილებელი, მაგრამ რეალურად არსებული ოსმალური წყაროების გამოცემა ფრიად სასარგებლო საქმე იქნება ჩვენი ეროვნული კულტურის შესწავლისა და ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის. თუ ჩვენ ამ ვითარებას გავითვალისწინებთ, ვფიქრობთ, ფრიად მიზანშეწონილი და დროული იქნება სწორედ ახლა, ჩვენი მეცნიერების დიდი პროგრესისა და აღმავლობის ხანს, დაისვას საქართველოს შესახებ თურქული წყაროების უფრო ფართო მასშტაბით გამოცემის საკითხი. თურქულ (და სხვა აღმოსავლურ) ისტორიულ წყაროთა გამოცემის საქმეში რომ მეტი გეგმაზომიერება იქნეს შეტანილი, უნდა დაარსდეს სერია Georgica-turcica, მსგავსად აკად. ს. ყაუხჩიშვილის ინიციატივით შექმნილი და ეგოდენ წარმატებით დამთავრებული გეორგიკის სერიისა („ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“). გეორგიკის მრავალტომიან გამოცემებში მოწოდებული დიდი მოცულობის ძვირფასი და დიდ-

⁴ თურქეთის „მინისტრთა საბჭოს არქივში“ დაცული რამდენიმე ქართული საბუთიც არის სპეციალურ ლიტერატურაში დასახელებული. მაგრამ ამ მხრივ უფრო საინტერესოა ჩვენთან ტურისტად ჩამოსული პროფესორი ისტორიკოსის ე. ზ. კარალის ნაშრომი იმის შესახებ, რომ თურქეთის მინისტრთა საბჭოს არქივში ინახება ქართული ხელნაწერი წიგნებით საეცე ერთი ყუთი. ხელნაწერთა რაობაზე ჩვენ არაფერი ვიცითო.

მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობები, ბუნებრივია, გამოძახილია საქართველოს მჭიდრო ისტორიულ-კულტურული ურთიერთობისა თავის უშუალო სამხრეთ-დასავლელ მეზობელთან — ბიზანტიასთან. შემდეგში ისტორიის ჩარხი ისე შეტრიალდა, რომ ბიზანტია განადგურდა და საქართველოს უშუალოდ გაუმეზობლდა ოსმალეთი (თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკა). უკვე რვა საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს ოსმალეთ-საქართველოს უშუალო და მჭიდრო ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობას, რამაც შეაპირობა ოსმალეთსა და საქართველოში შექმნილიყო ამ ურთიერთობათა ამსახველი წერილობითი ძეგლები.

დასავლეთ საქართველოს შესახებ თურქულ წყაროებზე აქამდე ცოტა რამ ვიცოდით. ამჟამად უკვე გამოვლენილია რამდენიმე ოსმალური წყარო და დოკუმენტი, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიურ მიდრეკილებათა გასათვალისწინებლად მეტად საინტერესო მონაცემებს შეიცავენ⁵. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მუსტაფა რეშიდ ჩემშიზადეს „ისტორია“ (Tarih), რომელიც პროფ. ბ. ქუთუქოღლუმ გამოსცა 1959 წელს სტამბოლში. ამ „ისტორიაში“ დასავლეთ საქართველოზე მოცემულია საინტერესო ცნობები: იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (გვერდები: 3, 4, 6, 7, 8, 9), ოდიშის „მეფის“ დადიანის (გვ. 6, 7), გურიელი მელიქის (გვ. 6, 7), აქარის (გვ. 8, 88), აჩიკბაშის (იმერეთის, გვ. 3, 6), ქუთათისის (გვ. 7, 8), სუეერის (სვერის) ციხისა და გონიოს სანჯაყის (გვ. 22) შესახებ⁶. ასევე საყურადღებოა ისტორიოგრაფ ვასიფის (1738-1806) ცნობები ქუთათისის, ბაღდადის, სვერის, საჩინოსა და სხვა ციხეებზე⁷. დასავლეთ საქართველოზე მეტად მნიშვნელოვანი ცნობებია აგრეთვე ფინდიქლილი მეჰმედ აღას ახლად გამოცემულ Nusretname-ში (ტ. I, ნაკვეთი III. სტამბოლი, 1964 წ. გვ. 344-347), სადაც ლაპარაკია ქუთათისის ციხისათვის ალყის შემორტყმაზე 1697-1698 წლებში⁸.

მეტად საგულისხმოა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ლაშქრობის ეპიზოდები, რომლებზეც მოთხრობილია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერ ძეგლში Fetihname⁹. უკვე გამოქვეყნებულია ქართულად აგრეთვე ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, სადაც დასავლეთ საქართველოზე მოტანილია მნიშვნელოვანი ცნობები¹⁰ და სხვა. ცხადია, ამ წყაროთა მონაცემების შესწავლა, მათი შეპირისპირება ჩვენში არსებული წყაროების სათანადო ადგილებთან მეტად შეუწყობს ხელს ოსმალე-

5 ამათგან რამდენიმე უკვე გამოქვეყნებულია: ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, კრებულში: „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 294-298; ც. აბუ-ლაძე, ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ; ოსმალური წერილები სოლომონ მეორისადმი: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ტ. I, თბ., 1971, გვ. 402-406. და სხვ.

6 ჩემშიზადეზე უფრო დაწერილებით იხ.: ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 115-116, 120-122.

7 იხ. ნ. შენგელია. დასახ. ნაშრ., გვ. 119-122. მასვე გამოქვეყნებული აქვს ოსმალური ისტორიკოსის აჰმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, წ. III, თბ., 1971, გვ. 299-310.

8 იქვე, გვ. 105.

9 იქვე, გვ. 185-189.

10 ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვ. I. ქართული თარგმანი. თბ., 1971.

თის იმერეთთან დამოკიდებულებისა და იმერეთში მისი პოლიტიკური გეგმების უკეთ გარკვევას.

ამგვარი მასალებიდან ამჯერად ჩვენ გვინდა მკითხველს მივაწოდოთ მეთვრამეტე საუკუნის ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც ქუთაისში აღმოჩნდა. ეს ჭერჭერობით პირველი თურქული ეპიგრაფიკული მასალაა იმერეთიდან.

რამდენადაც მახსოვს, 1939 წლის გაზაფხულზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა გადმომცა ერთი არაბული დამწერლობით შესრულებული წარწერის ფოტოპირი და დამავალა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ამომეკითხა იგი. წარწერა თურქული იყო, მაგრამ ფოტოპირი ისე უხეიროდ იყო გადაღებული, რომ ცალკეული სიტყვების გარდა წარწერის ამოკითხვა ვერ მოხერხდა. 1960 წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ცისია კახიანმა გადმომცა მეორე, უკვე სხვა ფოტოპირი ამავე წარწერისა, რომელსაც მეორე მხარეზე აკად. გ. წერეთლის ხელით აწერია — „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან ნაპოვნი ქვა, 195(?) წელს“. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფოტოპირიც ცუდი იყო და წაკითხვისათვის ახალს არაფერს იძლეოდა. იმავე 1960 წელს ქ. ქუთაისიდან ისტ. მეცნიერებათა კანდიდატმა ვლ. ჩაქვეტაძემ ჩამოიტანა ამავე წარწერის ფოტოპირი, რომელიც რიგიანადაა შესრულებული და მთხოვა მისი ამოკითხვა და გადმოთარგმნა.

1972 წლის 15 ოქტომბერს კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ გელათში ჩატარებულ სამეცნიერო სესიასთან დაკავშირებით მე შესაძლებლობა მომეცა აკად. გ. წერეთელთან ერთად დამეთვალიერებინა ადგილზე ეს წარწერიანი ქვა. იგი გვაჩვენა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა მიხ. ნიკოლაიშვილმა. უფრო გვიან იმავე მუზეუმის თანამშრომელმა ზურაბ წიტიანიშვილმა თავაზიანად გადმომცა ჩვენი თხოვნით გადაღებული შედარებით კარგი ფოტო წარწერისა.

ამჟამად ქვა დაცულია ბაგრატის ტაძრის სამრეკლოში. წარწერიანი ქვა კარგად არის შენახული, თითქოს ახლა გაუთლიათ და მოუმზადებიათ წარწერის გასაკეთებლად. წარწერა ძლიერ მკაფიოა, ასოები რელიეფურია, შესრულებულია ნახის ხელით. ქვის ზომა: სიგრძე 67,5 სმ, სიგანე 47,5 სმ, სისქე 23 სმ, ტექსტის სიგრძე 60,5 სმ, სიგანე 39,5 სმ.

წარწერა ორ სვეტად არის გაკეთებული. პირველი სვეტის პირველი სტრიქონის გაგრძელებას წარმოადგენს მეორე სვეტის პირველივე სტრიქონი და ასე შემდგომ. სულ ორივე სვეტზე რვა სტრიქონია.

წარწერის ტექსტი

- (1) خیراته سعی ایلینلر شاد اولور لر عاقبت (2) چون حسن اسمیدر، احسن صفات
(3) اتمیوب ریا تشنکانه خیری ایچون (4) صو آتوردی قلعه قپوسینه ایلدی حیات
(5) دایلم باری خدان قبول ایلیه خیراتنی (6) نقصان اولمسين خیرندن* بولا ثبات
(7) ککیان حسن اغا صاحب الخیرات (8) ...یا و دود تاریخست ۱۱۵۲ سنه

* დაზიანებულია. ეს სიტყვა შეიძლება წაკითხულ იქნეს აგრეთვე صبرندن 'მოთმინებით'.

- 1) ვინც საქველმოქმედო საქმეთათვის გულმოდგინედ იღწვის, საბოლოოდ გაიხარებს;
- 2) რადგან სახელი ჰასან საუკეთესო თვისებებზე მიუთითებს.
- 3) მან [ჰასანმა] არა ორგულობით, არამედ მოწყურებულთა სასიკეთოდ
- 4) წყალი გამოიყვანა ციხის კარამდე, წყალი მაცოცხლებელი.
- 5) ბე შევსთხოვ გამჩენ ღმერთს, მიიღოს მისგან [ეს] ქველმოქმედება,
- 6) არაფერი მოკლებოდეს მას, თავისი კეთილი საქმეებით [ღმერთმინებით] მოეპოვოს სიმტკიცე [სიცოცხლისა].
- 7) ქველმოქმედი არის კიკიანი ჰასან ალა.
- 8) [წარწერის] თარიღია—1152 წელი [=1739-1740].

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ე ი ს: არაბულ-სპარსული გრძელი ხმოვნების აღმნიშვნელ | და ى ასობთან სიგრძის გამოსახატავად ტექსტში მეტწილად სტრიქონს ზევით (ელიფთან) და ქვევით (იოტასთან) გამოკეცხულია დამატებითი ნიშანი — ვერტიკალური ხაზი: خیرا، شاد، عاقبت (სტრ. 1), صفات (სტრ. 2), تشنگانه، خیری (სტრ. 3), باری، خیراتی (სტრ. 5), نقصان، ثبات (სტრ. 6), صاحب (სტრ. 7). ასეთივე ნიშანი ახლავს ზოგიერთ თურქულ სიტყვასაც: كوردی، ایلدی (სტრ. 4), اولمسین (სტრ. 6). ბოლოკიდურ იოტს, როგორც წესი, უზის ორი წერტილი: سعی (სტრ. 1), خیری (სტრ. 3) და სხვ.

როგორც ვთქვით, წარწერა რელიეფურია. ამიტომ წარწერიანი ქვის გადატანის, ან, შეიძლება, ჩამოვარდნისას მაგარ საგანთან შეხების გამო, ასოები ზოგ ადგილას ჩამომტვრეულია და არ იკითხება. მაგ.: მერვე სტრიქონის პირველი ნახევარი დაზიანებულია და იკითხება მხოლოდ პირველ სიტყვათა ზოგიერთი ასო — دا و س.

წარწერა დათარიღებულია 1739-1740 წლით. ერთადერთ და მთავარ მოქმედ პირად დასახელებულია ვინმე ჰასან ალა კიკიანი, რომელსაც დიდი საქველმოქმედო საქმე გაუკეთებია და ქუთაისის ციხეში ოსმალთა გარნიზონისათვის წყალი გამოუყვანია. როგორც აკად. ა. შანიძე ვარაუდობს, ეს ქუთაისში „გვირაბის წყლად“ წოდებული წყაროს წყალი უნდა იყოს.

კიკიანი ქართული გვარია, ეს ჰასან ალა, უნდა ვიფიქროთ, თურქებს გადაუბირებიათ და ისლამის რჯული მიუღებინებიათ. დასავლეთ საქართველოს საბუთებში იგი საკმაოდ ხშირად ჩანს და ჩანს სწორედ როგორც საზოგადოებაში, გავლენიანი და მაღალი თანამდებობის პირი. 1720-1738 წლებში იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ პაპუნა წერეთლისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში მოწმის სახით კიკიანის ხელმოწერა შემდეგ კონტექსტშია მოცემული: „არის ამისი გამრცგე და მოწამე: გენათელი გედევან, ლიკორწმინდელი (!) სვიმონ, სახლით-უხუცესი ჯაფარიძე ლომკაცი, აგიაშვილი სვიმონ, კიკიანი ასანა“¹¹. იგივე კიკიანი ხელს აწერს კიდევ 1722-1738 წლებს ყმების წყალობის წიგნს, რომელიც მეფე ალექსანდრე V-ს უბოძებია პაპუნა

¹¹ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1777 წწ.). წ. I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1958, გვ. 67.

წერეთლისათვის. დოკუმენტის ბოლოში ასე წერია: „კაცთაგან ამისი მოწამე იაშვილი ქაიხოსრო, კიკიანი ასანბაშა“¹².

გარდა ამისა, აწ განსვენებულმა ისტორიკოსმა შოთა ბურჯანაძემ გადმოგვცა მთელი სია დოკუმენტებისა, რომლებშიაც ჩვენი წარწერის მოქმედი პირი კიკიანი იხსენიება: კიკიანი ასან (ქუთაისის მუზეუმის ისტ. დოკ. № 838), კიკიანი ასნალა (სელნაწერთა ინსტიტუტი № 694), კიკიანი სიმონიკა (ქუთ. მუზ. ისტ. დოკ. № 1697) და კიკიანი სინბაშა (საქ. ცენტრ. არქ. ფონდი 226, № 2147). თურქული წარწერის პასანი (حسن), სახელი კიკიანისა, ქართულად ყველგან ჰაე-დაკარგულად არის მოცემული — ასანი (ასნ და სინ შეცდომით დაწერილი სახელები უნდა იყოს). პასან'ში პ-ს დაკარგვა ხმოვნის წინ საესებით ბუნებრივია ქართულისათვის. საინტერესოა, რომ ქუთაისის მუზეუმის ერთ დოკუმენტში (იხ. აქვე ზემოთ) კიკიანის სახელად სიმონიკაა მოტანილი. ეს არის, ალბათ, მისი ქრისტიანული სახელი, ხოლო პასანი (=ასანი) თურქების მიერ შერქმეული.

კიკიანზე ცნობა არის კიდევ „ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში“, რომელშიც წერია: „პირველი ფაშა მამედ-ალი კიკიანი ქუთაისის ციხეში იდგა დიდძალი ჭარით და მბრძანებელი იყო დანარჩენი ფაშებისა“¹³. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დაცულ ამ ცნობაში საყურადღებოა დადასტურება კიკიანის მაღალი თანამდებობისა (შეიძლება კიკიანს ფაშას — „ბაშას“ წოდებაც ჰქონოდა). წარწერაში მოხსენიებულ კიკიანის სახელი ნამდვილად პასანია, აქ კი — მამედ-ალი. შეიძლება ამ გადმოცემაში სახელი შეშლილია. შეიძლება ეს შვილი იყოს პასანისა, თუმცა ჯერ ჩვენ არა გვაქვს ცნობა, რომ შვილს ასეთი მაღალი თანამდებობა ჰქონოდა.

კიკიანთა შესახებ ფრიალ საინტერესოა აგრეთვე პროფ. ს. კაკაბაძის ცნობები. კიკიანსა და მის შთამომავლობაზე ს. კაკაბაძე შენიშნავს, რომ იმერეთში ოსმალთა მეციხოვნეთა შორის ბევრნი იყვნენ მესხები (ივარაუდება, ალბათ, ახალციხის საფაშოდან ჩამოყვანილი მაჰმადიანი მესხები). „ამ ოსმალთა შორის, — წერს ს. კაკაბაძე, — თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ რენეგატი იმერლებიც. ერთი ასეთი გვარის კიკიანთა როლისა და მდგომარეობის დადასტურება ახლა შესაძლებელია უკვე დოკუმენტალურად“¹⁴. აქვე მოტანილია იმერეთის იმეფის სოლომონ II-ის მიერ 1808 წელს გაცემული ერთი საბუთი-მოწმობა, რომელიც ს. კაკაბაძეს აღმოუჩენია 1921 წელს ქუთაისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს არქივში. რადგანაც ეს საბუთი ეხება ჩვენი წარწერის კიკიანსა და მის ჩამომავლობას, ჩვენ იგი მთლიანად მოგვაქვს აქ. ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით: „წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, მეფე იმერთა და სხვათა, სოლომონ, გაძლევეთ აღბეჭდილსა ბეჭდითა ჩვენითა მოწმობასა ამას, ქუთაისის ყადის შვილის ობლებს, ანტონასა და გიორგის, ქუთაისოვებს, ასე რომ სწორედ ამათი პაპა ქუთაისის ყადი ყოფილა და ჩინებული მოხელე, ქუთაისოვი გვარი არის და ამჟამად ჩვენს საბრძანებელში აზნაურად კიკიანად იწოდე-

¹² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 457.

¹³ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძისა. თბ., 1964, გვ. 155.

¹⁴ ს. კაკაბაძე, წერილი შენიშვნები და მასალები. ქუთაისის ციხის ოსმალებს შეთურთა ვინაობისათვის XVIII ს-ში. „საისტორიო კრებული“, წ. III, თბილისი, 1928, გვ. 121-124.

Handwritten text in the top-left cell of the grid.

Handwritten text in the top-middle cell of the grid.

Handwritten text in the top-right cell of the grid.

Handwritten text in the bottom-left cell of the grid.

Handwritten text in the middle-left cell of the grid.

Handwritten text in the middle-middle cell of the grid.

Handwritten text in the middle-right cell of the grid.

Handwritten text in the bottom-right cell of the grid.

ბიან და ამათი სახლის კაცნი და ეს ობლებიც არიან შვილნი აზნაურისანი და აზნაურნი სამფლობელოსა ამას შინა ჩვენსა, რომელსა განვაცხადებთ წერილითა ამით და დაებეჭდავთ თვით სამეფოთა ბეჭდითა ჩვენითა. სეკდემბერს, ა, წელთა ჩყმ-სა“¹⁵. ბოლოში დასმულია ჩვეულებრივი ბეჭედი სოლომონ II-ისა და ასომთავრული წარწერით „მეფე იმერთა სოლომონ“¹⁶.

ამრიგად, თვით მეფე სოლომონის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით დასტურდება, რომ: 1. ქუთაისის ყადის შვილს ობლები ანტონა და გიორგი ამჟამად (1808 წ.) ქუთაისოვის გვარს ატარებენ, 2. ანტონა და გიორგის პაპა იყო „ქუთაისის ყადი და ჩინებული მოხელე“, 3. იმერეთში კიკიანებს აზნაურის წოდება აქვთ და მათი სახლიკაცები და ეს ობლებიც (ე. ი. ანტონა და გიორგი ქუთაისოვები), „არიან შვილნი აზნაურისანი და [თვითონაც] აზნაურნი“.

ჩვენს აქ წარმოდგენილ წარწერაში მთავარი ფიგურაა ჰასან კიკიანი; წარწერა მიძღვნილია მისადმი, წარწერაში ის შექებულია როგორც დიდი ქველმოქმედი, რომელმაც ქუთაისის ციხე-სიმაგრეში წყალი გაიყვანა და იგი სამოთხეს დაამსგავსა. უეჭველი უნდა იყოს, რომ იგი დიდი თანამდებობისა და მატერიალურადაც შეძლებული კაცი უნდა ყოფილიყო. ამის მიხედვით შეიძლება მივიღოთ, რომ სოლომონ მეფის საბუთში მოხსენიებული ანტონასა და გიორგის (კიკიან-ქუთაისოვების) პაპა, რომელიც „ქუთაისის ყადი და ჩინებული მოხელეა“, არის ჩვენი წარწერის ჰასან კიკიანი (მის შვილზე, ანტონასა და გიორგის მამაზე, ამჟამად ცნობები არა ჩანს).

სოლომონ მეფის მიერ გაცემული „მოწმობის“ ძირითადი აზრი ის არის, რომ დადასტურდეს ანტონა და გიორგი ქუთაისოვ-კიკიანების აზნაურული წარწომავლობა. კითხვაზე, თუ რა საჭიროებას წარმოდგენდა ეს მოწმობა ამ ობოლი ბიჭებისათვის, ვფიქრობ, სავსებით სწორი უნდა იყოს ს. კაკაბაძის პასუხი. იგი წერს: „რამდენადაც ცნობილია; გრაფ ქუთაისოვის გვარის დამწყები იყო ქუთაისის ციხის ალბის დროს 1770 წ. ტყვედ აყვანილი და რუსეთში იმპერატრიცა ეკატერინე II-ის კარზე საჩუქრად გაგზავნილი ყმაწვილი მაჰმადიანი“¹⁷. მართლაც, ეს უნდა მომხდარიყო 1770 წელს, როდესაც სოლომონ პირველმა ისარგებლა ასპინძასთან ოსმალთა ჯარის დამარცხებით, გაათავისუფლა თურქთაგან იმერეთის რამდენიმე ციხე და ქუთაისიც აიღო. ამავე წლის 6 აგვისტოს სოლომონმა და გენერალმა ტოტლებენმა გაერთიანებული ძალებით ქუთაისის ციხეს შეუტიეს და აიღეს კიდევაც¹⁸. როგორც ირკვევა, ოსმალეთის ამ დამარცხების დროს უნდა იყოს საერთოდ ოსმალეთის სამსახურში მყოფი ჰასან კიკიანის შვილიშვილი ტყვედ ჩაგარდნილი გენერალ ტოტლებენთან, რომელმაც ის საჩუქრად გაუგზავნა რუსეთის იმჟამინდელ მეფეს ეკატერინე II-ეს.

მართლაც, „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ (გამოცემა II, ტ. 24, მოსკოვი, 1953, გვ. 142) მოთავსებულია სტატიები ორ ქუთაისოვზე: Кутайсов Иван Павлович (1759(?)-1854) და Кутайсов Александр Иванович (1784-

15 ე. ი. 1808 წლის 1 სექტემბერი.

16 ს. კაკაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124.

17 იქვე, გვ. 123, 124.

18 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV (გ. პაიქაძე, ქ. ჩხატარაიშვილი, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო). თბ., 1974, გვ. 655.

1812). პირველ მათგანზე ნათქვამია: „Во время царствования Павла I Кутайсов был всеильным фаворитом, влиявшим на внутреннюю и внешнюю политику правительства. Получил большие поместья и графский титул».

მეორე ქუთაისოვი, ალექსანდრე, რომელიც შვილი უნდა იყოს ამ ივანე პავლეს ძისა, რუსეთის არმიის დიდი გენერალი: „Обладая обширными познаниями в области артиллерии Кутайсов на основе опыта войн с Наполеоном I (1805-1807) правильно оценил возросшую роль артиллерии... Широко известен приказ Кутайсова перед началом Бородинского сражения, проникнутый духом активных действий, в котором он требовал от артиллеристов стойкости, упорства в бою и самопожертвования в интересах достижения победы. Кутайсов убит во время Бородинского сражения»¹⁹.

აი, ეს ქუთაისოვები უნდა იყვნენ იმერელი აზნაურის, შემდეგში გამაჰმადიანებული ჰასან კიკიანის ჩამომავლობისა. ეს დასტურდება ამავე ენციკლოპედიამში მოცემული ცნობითაც. ივანე პავლეს ძე ქუთაისოვზე აღნიშნულია, რომ ის იყო წარმოშობით თურქი, რომელიც ტყვედ ჩაიგდო ხელში რუსეთის ჯარმა 1768-1774 წლების ომის დროს. ეს ტყვე გაუგზავნიათ, როგორც ს. კაკაბაძემაც აღნიშნა თავის დროზე, ეკატერინე II-სათვის, რომელსაც იგი უჩუქნია თავისი შვილის პავლესათვის²⁰.

მართალია, აქ ქუთაისის ციხის აღება და სხვა დეტალები არ არის, მაგრამ საენციკლოპედიო მოკლე სტატიაში ეს ეპიზოდი ზოგადად ჩართულია 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ამბებში (ქუთაისის ციხის აღებაში გენერალი ტოტლებენი მონაწილეობდა). რაც შეეხება ივანე ქუთაისოვის თურქობას, ეს იოლი ასახსნელი რამ არის. თითქოს, მისი პაპა ჰასან კიკიანი ხომ ოსმალთა დროს დიდი გავლენიანი და; ეტყობა, მართლმორწმუნე და ერთგული მაჰმადიანია (ჩვენი წყაროების მიხედვით ყადის თანამდებობა აქვს და ჰასანი ჰქვია). ცნობილია ისიც, რომ გამაჰმადიანებული ქართველები საერთოდ არ აცხადებდნენ მაინცდამაინც თავიანთ ქართველობას. ეს მათ შეგნებაში ვიარაობის, ურჯულოების გამომსატყველი სიტყვის ტოლფარდი რამ იყო. ამდენად რუსის ჯარის მიერ ქუთაისის ციხის ოსმალთა გარნიზონიდან ტყვედ ჩაგდებული ყველა მაჰმადიანი თურქად უნდა ყოფილიყო აღრიცხული.

ზემოაღნიშნული ცნობისა და მასალების საფუძველზე სრულებით მოკლებულია დამაჩერებლობას პროფ. ნ. ა. ბასაკოვის მტკიცება გრაფ ქუთაისოვებისა და თვით ჭალაქ ქუთაისის სახელის, ვითომდა, თურქულ სიტყვათაგან წარმომავლობის შესახებ²¹. ნ. ა. ბასაკოვი საარქივო მასალების მიხედვით ადგენს, რომ რუსეთში ქუთაისოვების გვარის დამაარსებელია ეროვნებით თურქი ივანე პავლეს ძე ქუთაისოვი, რომელიც ძლიერ აღზევდა პავლე I-ის გამეფების უმალ. 1798 წელს მან მიიღო აზნაურობა, ხოლო 1799 წელს რუსეთის მეფემ პავლე I-მა მას მიანიჭა გრაფის წოდება²². საგვარეულო სახელი Кутайсов-ი ნ. ა. ბასაკოვის აზრით, ნაწარმოებია თურქული qutas—kutaz—

¹⁹ Б С Э, второе издание, т. 24, стр. 142.

²⁰ იხ. იქვე.

²¹ Н. А. Баскаков, Русские фамилии тюркского происхождения, VII. «Этнография имени», Москва, 1971, стр. 96-97.

²² იქვე.

qutajs სიტყვისაგან, რომელიც ნიშნავს — თავსამკაული, ჯიღა ქუღზე (უმთავრესად სამხედრო პირთა ქუღზე), მორთულობანი ცხენის კისერზე და სხვა.

საქმე ასე უნდა წარმოედგინოთ: ქუთაისის ციხის აღების შემდეგ (1770 წ.), როგორც ჩანს, გენერალმა ტოტლებენმა, ეკატერინე II-ს გაუგზავნა ტყვედ აყვანილი ჰასან კიკიანის შვილიშვილი. ეკატერინე II-მ იგი აჩუქა თავის შვილს პავლე I-ს. როგორც ირკვევა, პავლეს ძალიან მოეწონა ეს ყმაწვილი (საარქივო მასალების მიხედვით, სწორედ პავლეს გამეფებისთანავე მან დიდად წაიწია წინ, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, იყო მაღალ თანამდებობებზე), აღზარდა იგი, ალბათ მონათლა კიდევაც (სახელად ივანე დაარქვა, მამის სახელად შეურჩია პავლეს), ე. ი. ბუნებრივია, ხდება ამ ყმაწვილის რუსული წესებისა და ჩვევების მიხედვით აღზრდა. ამ ვითარებაში ძნელია დავუშვათ, რომ პავლე I-ის სასახლეში მოინდომეს დაეძებნათ რომელიმე თურქული სიტყვა მისი საგვარეულო სახელის მაწარმოებლად. უფრო ბუნებრივია, ქუთაისში ტყვედ ჩაგდებული და ქუთაისიდანვე წამოყვანილისათვის მიეცათ გვარისახელად Кутайсов-ი.

ქალაქ ქუთაისის სახელის თურქული სიტყვიდან წარმომავლობა კი მოკლედ, მაგრამ შეუდარებლად სწორად უარყო აკად. გ. წერეთელმა. იგი წერს: „თავის ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში (Русские фамилии тюркского происхождения) ნ. ა. ბასაკოვმა დასავლეთ საქართველოს უძველესი დედაქალაქის ქუთაისის (ძველი ქუთათისის) სახელი, რომელიც ზემოაღნიშნული ზოგადქართველური და ქართული წარმომავლობის -is სუფიქსითაა ნაწარმოებ, გამოაცხადა... თურქულად (!). მას რომ ხსომებოდა, რომ ეს ტოპონიმიკური ტერმინი დადასტურებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, მისთვის ცხადი იქნებოდა, რომ ამ სახელის თურქული წარმომავლობის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება“²³.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ კიკიან-ქუთაისოვების გვარის წარმომადგენელთა ვინაობის, ნათესაური ურთიერთდამოკიდებულებისა და გრაფი ქუთაისოვების ქართული წარმომავლობის საკითხების გასარკვევად კიდევ დამატებითი მასალებია საჭირო. სოლომონ II-ის საბუთში მოხსენიებული ქუთაისის ყადის ობოლი შვილიშვილები, ანტონა და გიორგი სხვანი არ ჩანან. შეიძლება მათ მონათვლის შემდეგ კიდევ სახელები შეუტყვალეს გრაფის წოდების მისანიჭებლად. მეფის საბუთში დადასტურებული აზნაურული წარმომავლობის შესახებ ცნობაც ხომ ამისთვის უნდა ყოფილიყო გამოთხოვილი. არ ვიცი, აგრეთვე, რა თანამდებობისა იყო ობლების მამა, ქუთაისის ყადის შვილი. ამ საკითხების შესასწავლად არ არის საკმარისი ის მასალები, რომელიც მე თურქული წარწერის კომენტირებისათვის მოვიძიე. მომავალი კვლევა-ძიება, იმედია, ამ საკითხს საბოლოოდ გაარკვევს.

²³ Г. В. Церетели, По поводу этимологии некоторых топонимических терминов. «Маши» («Вестник»). Серия языка и литературы Отделения АН ГССР, I. — 1972, Тбилиси, 1972, стр. 147.